მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები 3
შემაჯამებელი მიმოხილვა 4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები 6
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 7
2.1 გადასახადები 8
2.2 გრანტები 9
2.3 სხვა შემოსავლები 9
3. არაფინანსური აქტივების კლება 11
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები 12
4.1 ხარჯები 14
4.2 არაფინანსური აქტივების ზრდა 15
5. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია 17
6. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებები 18
7. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი 18
დანართი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები 21

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ბ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.
რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელნი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში მომზადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობების მოცულობა 412,000.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 454,000.0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 69,509.7 ათასი ლარით (16.9%-ით) გაიზარდა და 481,509.7 ათას ლარს გაუტოლდა. ასევე, 28,305.8 ათასი ლარით (6.2%-ით) გაიზარდა გადასახდელების მოცულობა და რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო ვერსიით 482,305.8 ათასი ლარი შეადგინა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 441,970.0 ათასი ლარი (გეგმის 91.8%) და 397,081.5 ათასი ლარი (გეგმის 82.3%) შეადგინა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია შემდეგი მნიშვნელოვანი სისტემური ხასიათის საკითხები და გაცემულია რეკომენდაციები. კერძოდ:

- თვეების მიხედვით შემოსულობების მაჩვენებლები ძირითადად აღემატება გადასახდელების მაჩვენებლებს, რაც განაპირობებს ნაშთის დაგროვებას. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, წლის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 44,888.5 ათასი ლარით გაიზარდა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 45,706.2 ათასი ლარი შეადგინა. კომერციული ბანკის დეპოზიტზე განთავსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს გამოუყენებელი ფულადი სახსრების მიმართვა პროდუქტების/სერვისების შექმნის ან/და გაუმჯობესების მიმართულებით.
- გასულ წლებთან შედარებით ნაწილობრივ გაუმჯობესებულია წლის განმავლობაში გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერება, თუმცა ამ კუთხით გამოწვევები კვლავ არსებობს. კერძოდ, 2022 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 82,863.8 ათასი ლარი და მთლიანი გადასახდელების 20.9% შეადგინა. შედეგად, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიურ მაჩვენებელს 2.9-ჯერ გადააჭარბა. წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასახდელების ზრდას ძირითადად იწვევს „გრანტების“ მუხლით გაწეული გადასახდელები, რომლის მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია 2022 წლის დეკემბერში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებების მოცულობის ზრდასთან. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია როგორც საბიუჯეტო დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, გარემოებათა საფუძვლიანი შესწავლისა და ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებით, უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება.
- რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი/მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი,

იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა კომპლექსური პროცესია, რომელშიც ჩართულია მრავალი მხარე, მიზანშეწონილია შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით. რეფორმის გაცხადებული მიზნობრივი ნიშნულების არსებობა გაზრდის ამ პროცესში ჩართული საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხს და ხელს შეუწყობს რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგს.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები

შემოსულობები

441,970.0 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 91.8%
შემოსავლები - 387,391.2 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 106.8%

გადასახდელები

397,081.5 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 82.3%
ხარჯები - 312,957.9 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 84.8%

არაფინანსური აქტივები

არაფინ. აქტივების ზრდა - 81,145.1 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 73.9%
არაფინ. აქტივების კლება - 34,578.8 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 35.0%

ვალდებულებები

ვალდებულებების ზრდა - 20,000.0 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 100.0%
ვალდებულებების კლება - 2,978.5 ათასი ლარი
გეგმასთან შესრულება - 88.9%

ნაშთი

წლის დასაწყისში - 817.7 ათასი ლარი
წლის ბოლოს - 45,706.2 ათასი ლარი

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობების მოცულობა 412,000.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 454,000.0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 69,509.7 ათასი ლარით (16.9%-ით) გაიზარდა და 481,509.7 ათას ლარს გაუტოლდა. ასევე, 28,305.8 ათასი ლარით (6.2%-ით) გაიზარდა გადასახდელების მოცულობა და რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო ვერსიით 482,305.8 ათასი ლარი შეადგინა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 441,970.0 ათასი ლარი (გეგმის 91.8%) და 397,081.5 ათასი ლარი (გეგმის 82.3%) შეადგინა.

დიაგრამა 1. 2022 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება (წაზარდი ჯამით, პროცენტი)



დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ყოველთვიური დინამიკა (ათასი ლარი)



დიაგრამიდან ჩანს, რომ თვეების მიხედვით[1] შემოსულობების მაჩვენებლები ძირითადად აღემატება გადასახდელების მაჩვენებლებს, რაც განაპირობებს ნაშთის დაგროვებას. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, წლის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი 44,888.5 ათასი ლარით გაიზარდა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 45,706.2 ათასი ლარი შეადგინა.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსავლების პროგნოზი 347,500.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. მეორე კვარტალში დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ივნისში განხორციელდა ცვლილება,[2] რის შედეგადაც შემოსავლების გეგმური მოცულობა 15,309.7 ათასი ლარით (4.4%-ით) გაიზარდა, რაც ძირითადად საგადასახადო შემოსავლების (საშემოსავლო გადასახადის) 15,000.0 ათასი ლარით (4.5%-ით) ზრდამ განაპირობა.

2022 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსავლებმა 387,391.2 ათასი ლარი შეადგინა და 24,581.5 ათასი ლარით (6.8%-ით) გადააჭარბა რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზს. გადაჭარბებით, 107.9%-ით შესრულდა „გადასახადების“ კომპონენტი, ხოლო „გრანტები“ შესრულდა 13.0%-ით, „სხვა შემოსავლები“ - 77.4%-ით.

[1] გარდა თებერვლის, სექტემბრისა და დეკემბრის თვეებისა.

[2] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N56-რს, 27/06/2022.

ცხრილი 1. შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

შემოსავლების კომპონენტები	2022 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2022 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	საკასო შესრულება (3)	გადახრა (3)-(2)	გეგმის შესრულება (3)/(2)
გადასახადები	335,000.0	350,000.0	377,682.2	27,682.2	107.9%
გრანტები	-	309.7	40.2	-269.5	13.0%
სხვა შემოსავლები	12,500.0	12,500.0	9,668.8	-2,831.2	77.4%
სულ:	**347,500.0**	**362,809.7**	**387,391.2**	**24,581.5**	**106.8%**

2.1 გადასახადები

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი გადასახადებზე, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადზე მოდის და მთლიანი შემოსავლების 97.5%-ს შეადგენს. ხაზინის მონაცემებით, საშემოსავლო გადასახადის სახით 2022 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 377,682.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 104,278.0 ათასი ლარით (38.1%-ით) მეტია. გადასახადების შესრულებამ რესპუბლიკური ბიუჯეტის საწყისი კანონით განსაზღვრულ პროგნოზს 12.7%-ით (42,682.2 ათასი ლარით), ხოლო საბოლოო კანონს - 7.9%-ით (27,682.2 ათასი ლარით) გადააჭარბა.

დიაგრამა 3. საშემოსავლო გადასახადი 2018-2022 წლებში (ათასი ლარი)



წარმოდგენილი დიაგრამიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში მზარდია საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. გამონაკლისია მხოლოდ 2020 წელი, როდესაც ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემოსავლების მოცულობაზე და 2020 წელი, 2019 წელთან შედარებით, კლებით აღინიშნა.

2.2 გრანტები

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული არ იყო. 2022 წლის ივნისში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, გრანტების საპროგნოზო მოცულობა 309.7 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, ხოლო მობილიზებული სახსრების ოდენობამ 40.2 ათასი ლარი (გეგმის 13.0%) შეადგინა. გრანტებით, გაეროს ბავშვთა ფონდთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ფინანსდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამა – „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში". აუთვისებლობა გამოწვეულია იმით, რომ დროულად ვერ დასრულდა ინკლუზიური განათლების ცენტრების რეაბილიტაცია და შესაბამისად, ვერ განხორციელდა საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიებები.

2.3 სხვა შემოსავლები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით „სხვა შემოსავლების" წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 12,500.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო მობილიზებული სახსრების ოდენობამ 9,668.8 ათასი ლარი (გეგმის 77.4%) შეადგინა.

ცხრილი 2. სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	**2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი**	**2022 წლის ფაქტი**	**გადახრა**	**შესრულება (%)**
შემოსავლები საკუთრებიდან	9,452.0	5,813.8	-3,638.2	61.5%
პროცენტები	7,000.0	4,486.4	-2,513.6	64.1%
დივიდენდები	600.0	612.2	12.2	102.0%
რენტა	1,852.0	715.2	-1,136.8	38.6%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	448.0	711.3	263.3	158.8%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	100.0	14.9	-85.1	14.9%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2,500.0	3,128.7	628.7	125.1%
სულ სხვა შემოსავლები:	**12,500.0**	**9,668.8**	**-2,831.2**	**77.4%**

მთავრობის წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას „სხვა შემოსავლების" ცალკეული კომპონენტის შეუსრულებლობის მიზეზებზე. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ „პროცენტების" კომპონენტის შეუსრულებლობა დაკავშირებულია კომერციული ბანკის საბანკო ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ფულადი სახსრების დაგეგმილზე ნაკლებ მოცულობასთან, ხოლო „რენტის" კომპონენტის შეუსრულებლობა – მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავლების შემცირებასთან.

„ტრანსფერების, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული" შესრულების მაჩვენებელი 125.1%-ს შეადგენს. მოპოვებული ინფორმაციით, „ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული" შედგება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული

პირგასამტეხლოების, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლებისაგან.

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მისაღები დივიდენდების წლიური გეგმა 600.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო საკასო შესრულებამ 612.2 ათასი ლარი (წლიური გეგმის 102.0%) შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 36 საწარმოდან,[3] 2022 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს. აღნიშნული საწარმოები წინა წლებშიც დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში ძირითად როლს ასრულებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ადრე გაცემული რეკომენდაცია, რათა დროულად განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება, ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ.

დიაგრამა 4. დივიდენდების სახით შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები 2020-2022 წლებში (ათასი ლარი)



- კომერციული ბანკის დეპოზიტზე განთავსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს გამოუყენებელი ფულადი სახსრების მიმართვა პროდუქტების/სერვისების შექმნის ან/და გაუმჯობესების მიმართულებით.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები უნდა განისაზღვროს ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების სათანადო ანალიზის საფუძველზე.

[3] მოწოდებული ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ 7 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება, 4 საწარმო გადაცემულია მართვის უფლებით, ხოლო 25 საწარმოდან, 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება შესაბამის სამინისტროში წარდგენილი აქვს 22 საწარმოს.

3. არაფინანსური აქტივების კლება

რესპუბლიკურ ბიუჯეტში 2022 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა თანხებმა 34,578.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 35.0%-ია და 12,327.3 ათასი ლარით მეტია 2021 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 3. არაფინანსური აქტივების კლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

არაფინანსური აქტივების კლება	2022 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2022 წლის ბიუჯეტის კანონი - საბოლოო (2)	2022 წლის ფაქტი (3)	გადახრა (3)-(2)	გადახრა (3)-(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
ძირითადი აქტივები	8,500.0	8,500.0	9,493.3	993.3	993.3	111.7%	111.7%
არაწარმოებული აქტივები	56,000.0	90,200.0	25,085.5	-65,114.5	-30,914.5	44.8%	27.8%
ჯამი:	**64,500.0**	**98,700.0**	**34,578.8**	**-64,121.2**	**-29,921.2**	**53.6%**	**35.0%**

„არაფინანსური აქტივების კლების“ დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულებულია 35.0%-ით (დაზუსტებულ გეგმას ჩამორჩება 64,121.2 ათასი ლარით), თუმცა თავდაპირველ გეგმასთან მიმართებით შესრულების მაჩვენებელი შედარებით მაღალია და 53.6%-ს შეადგენს (29,921.2 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ პარამეტრს). აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო გეგმის მოცულობითი შეუსრულებლობა დაკავშირებულია 2022 წლის ივნისში რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებთან,[4] რომელთა შედეგად არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მისაღები შემოსულობის საპროგნოზო მაჩვენებელი 56,000.0 ათასი ლარიდან გაიზარდა 90,200.0 ათას ლარამდე.

დიაგრამა 5. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 2018-2022 წლებში (ათასი ლარი)



[4] „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N56-რს, 27/06/2022.

მთავრობის ანგარიშში ბიუჯეტის თავდაპირველ საპროგნოზო მაჩვენებლებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ გადახრებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ 2022 წელს განსაკარგად გათვალისწინებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადდა აუქციონები, მათ შორის რიგ ქონებაზე არაერთგზის, რომლებიც არ შედგა განაცხადების შემოუსვლელობის გამო.

„არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით მნიშვნელოვანია, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების სათანადო ანალიზის საფუძველზე.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით გადასახდელების წლიური გეგმა 454,000.0 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი ივნისში 28,305.8 ათასი ლარით გაიზარდა და საბოლოოდ, 482,305.8 ათას ლარს გაუტოლდა. წლის ბოლოს, ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების ფაქტობრივმა მოცულობამ 397,081.5 ათასი ლარი და გეგმის 82.3% შეადგინა.

ცხრილი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის ბიუჯეტის კანონი - თავდაპირველი (1)	2022 წლის ბიუჯეტის კანონი - დაზუსტებული(2)	2022 წლის ფაქტი (3)	გადახრა (2)-(3)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(1)	ბიუჯეტის შესრულება (3)/(2)
ხარჯები	331,492.5	369,085.8	312,957.9	56,127.9	94.4%	84.8%
შრომის ანაზღაურება	43,209.1	43,228.8	42,314.4	914.4	97.9%	97.9%
საქონელი და მომსახურება	50,715.4	56,997.3	51,657.7	5,339.5	101.9%	90.6%
პროცენტი	919.8	664.8	495.5	169.4	53.9%	74.5%
სუბსიდიები	12,043.8	11,083.9	9,452.8	1,631.1	78.5%	85.3%
გრანტები	162,018.5	178,169.4	139,446.4	38,723.0	86.1%	78.3%
სოციალური უზრუნველყოფა	20,188.8	27,235.2	26,932.5	302.7	133.4%	98.9%
სხვა ხარჯები	42,397.1	51,706.4	42,658.7	9,047.8	100.6%	82.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	118,413.1	109,870.6	81,145.1	28,725.5	68.5%	73.9%
ვალდებულებების კლება	4,094.4	3,349.4	2,978.5	370.9	72.7%	88.9%
სულ გადასახდელები:	**454,000.0**	**482,305.8**	**397,081.5**	**85,224.3**	**87.5%**	**82.3%**

გასულ წლებთან შედარებით ნაწილობრივ გაუმჯობესებულია წლის განმავლობაში გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერება, თუმცა ამ კუთხით გამოწვევები კვლავ არსებობს. კერძოდ, 2022 წლის ბოლოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ დეკემბერში დახარჯული

თანხის ოდენობამ 82,863.8 ათასი ლარი და მთლიანი გადასახდელების 20.9% შეადგინა. შედეგად, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიურ მაჩვენებელს 2.9-ჯერ გადააჭარბა.

ცხრილი 5. გადასახდელების შესრულება დეკემბერში (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2022 წლის 11 თვის ფაქტი	2022 წლის დეკემბრის ფაქტი	2022 წლის 11 თვეში საშუალო ათვისება	დეკემბრის მაჩვენებლის მეტობა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან
ხარჯები	312,957.9	254,574.1	58,383.8	23,143.1	35,240.7
შრომის ანაზღაურება	42,314.4	37,352.5	4,961.9	3,395.7	1,566.3
საქონელი და მომსახურება	51,657.7	43,461.5	8,196.3	3,951.0	4,245.2
პროცენტი	495.5	413.2	82.3	37.6	44.7
სუბსიდიები	9,452.8	7,642.1	1,810.6	694.7	1,115.9
გრანტები	139,446.4	105,430.5	34,015.9	9,584.6	24,431.3
სოციალური უზრუნველყოფა	26,932.5	24,099.0	2,833.5	2,190.8	642.6
სხვა ხარჯები	42,658.7	36,175.3	6,483.3	3,288.7	3,194.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	81,145.1	57,298.0	23,847.1	5,208.9	18,638.2
ვალდებულებების კლება	2,978.5	2,345.6	632.9	213.2	419.6
გადასახდელები	**397,081.5**	**314,217.7**	**82,863.8**	**28,565.2**	**54,298.6**

ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების მკვეთრი ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია პირველ სამ კვარტალში აუთვისებელი რესურსის წლის ბოლოს აკუმულირებით. კერძოდ, პირველ სამ კვარტალში გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ კვარტალურ გეგმებს, შესაბამისად 16.1%-ით, 18.4%-ითა და 24.8%-ით ჩამორჩა, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 83,080.4 ათას ლარს შეადგენს. მეოთხე კვარტალში გადასახდელები გეგმას მხოლოდ 1.5%-ით (2,143.9 ათასი ლარით) ჩამორჩა.

ამ მიმართულებით ძირითად გამოწვევას წარმოადგენს „გრანტების“ მუხლით გაწეული გადასახდელები, რომლის მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია 2022 წლის დეკემბერში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებების მოცულობის ზრდასთან. კერძოდ, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიურ მაჩვენებელს 23,276.9 ათასი ლარით გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლებშიც გადახდის ვალდებულება დადგა 2022 წლის დეკემბერში. მუნიციპალიტეტების მიერ ასიგნებების არათანაბარზომიერი ათვისება დაკავშირებულია შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყებასთან, მშენებლობის განხორციელების პერიოდის კლიმატურ პირობებთან მისადაგებასთან და სხვ.

საყურადღებოა, რომ ფისკალური წლის დასასრულს ზრდა შეიმჩნევა გადასახდელების ყველა კომპონენტში.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია როგორც საბიუჯეტო დაწესებულებების, ისე მათი მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან, გარემოებათა საფუძვლიანი შესწავლისა და ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებით, უზრუნველყოფილ იქნეს ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისება.

4.1 ხარჯები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მთლიანი მოცულობის 78.8% (312,957.9 ათასი ლარი) „ხარჯებმა“ შეადგინა, რაც წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მაჩვენებლის 84.8%-ია და 25.7%-ით მეტია 2021 წლის მაჩვენებელზე.

ცხრილი 6. ხარჯების გეგმის შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის დაზუსტებული გეგმა (1)	2022 წლის ფაქტი (2)	გადახრა (1)-(2)	ბიუჯეტის შესრულება (2)/(1)
შრომის ანაზღაურება	43,228.8	42,314.4	914.4	97.9%
საქონელი და მომსახურება	56,997.3	51,657.7	5,339.5	90.6%
პროცენტი	664.8	495.5	169.354	74.5%
სუბსიდიები	11,083.9	9,452.8	1,631.1	85.3%
გრანტები	178,169.4	139,446.4	38,723.0	78.3%
სოციალური უზრუნველყოფა	27,235.2	26,932.5	302.7	98.9%
სხვა ხარჯები	51,706.4	42,658.7	9,047.8	82.5%
სულ ხარჯები:	**369,085.8**	**312,957.9**	**56,127.9**	**84.8%**

ხარჯების საკასო შესრულება 56,127.9 ათასი ლარით ჩამორჩება გეგმურ მაჩვენებელს. ხარჯების ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია „გრანტების“ მუხლთან, სადაც აუთვისებელი დარჩა 38,723.0 ათასი ლარი. მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 38,005.7 ათასი ლარი.

ცხრილი 7. მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება (%)
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	**99,660.7**	**72,946.0**	**26,714.6**	**73.2%**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	55,599.9	37,322.8	18,277.1	67.1%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	16,697.1	12,557.6	4,139.5	75.2%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	8,179.6	7,409.9	769.6	90.6%
ქედის მუნიციპალიტეტი	5,784.1	4,178.4	1,605.6	72.2%
შუახევის მუნიციპალიტეტი	6,900.0	5,428.2	1,471.8	78,7%
ხულოს მუნიციპალიტეტი	6,500.0	6,049.1	450.9	93.1%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	**73,497.3**	**62,206.3**	**11,291.1**	**84.6%**
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	59,599.2	49,979.6	9,619.7	83.9%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	7,147.7	5,991.6	1,156.1	83.8%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,802.9	1,666.4	136.5	92.4%
ქედის მუნიციპალიტეტი	1,241.0	1,108.3	132.8	89.3%
შუახევის მუნიციპალიტეტი	1,03.8.2	997.7	40.5	96.1%
ხულოს მუნიციპალიტეტი	2,668.3	2,462.8	205.5	92.3%

მოპოვებული ინფორმაციით, რიგ შემთხვევებში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ საჯარო ფინანსების მართვის ხარვეზები იწვევს ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეუსრულებლობას/ დაგვიანებით შესრულებას და ქმნის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების აუთვისებლობის პრობლემას. გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:

- ✓ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყება;
- ✓ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორად განსაზღვრა;
- ✓ სამშენებლო სამუშაოების არაჯეროვნად შესრულება;
- ✓ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარვეზები და სხვ.

ცხრილი 8. ინფორმაცია აუთვისებელი თანხების შესახებ (ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტი	აუთვისებელი თანხა	მათ შორის,				
		შესყიდვებით და სამუშაოების შესრულებით მიღებული ეკონომია	საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება	პროექტების არასათანადო დაგეგმვა	ტენდერი არ შედგა	2022 წელს დაუსრულებელი სამუშაოები
ქალაქ ბათუმი	27,896.8	2,932.4	2,594.9	6,897.5	539,0	14,933,0
ქობულეთი	5,295.6	1,671.8	100.0		100.0	3,423.8
ხელვაჩაური	906.2	276.8				629.4
ქედა	1,738.4	344,3	612.3	368.9		412.9
შუახევი	1,512.3	131.8	245.8			1,134.7
ხულო	656.4	97.5			90.0	468.9
ჯამი:	**38,005.7**	**5,454.6**	**3,553.0**	**7,266.4**	**729.0**	**21,002.7**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულების განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. კერძოდ, 12 პროექტში, სადაც შესრულება 12%-ს არ აღემატება, აუთვისებელი დარჩა 6,894.6 ათასი ლარი (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში).

➢ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ეფექტიანი მონიტორინგი განხორციელდეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემული კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების დროულად ათვისების მიმართულებით, გამოკვლეულ იქნეს ბიუჯეტის შეუსრულებლობის კონკრეტული მიზეზები და გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

4.2 არაფინანსური აქტივების ზრდა

2022 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გადახდამ 81,145.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლის 73.9%-ია (დაზუსტებულ გეგმაზე 28,725.5 ათასი ლარით ნაკლები) და 5,285.1 ათასი ლარით მეტია 2021 წლის მაჩვენებელზე.

მოპოვებული დოკუმენტაციით, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზებია. მაგალითად:

- „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 9,463.6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით, სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო არაუგვიანეს 2022 წლის 8 ოქტომბრამდე, თუმცა მიმწოდებელმა განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების დასრულება.
- „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 4,273.5 ათასი ლარი, რაც ძირითადად დაკავშირებულია კონტრაქტორი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებასთან.
- „აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 2,838.7 ათასი ლარი. გაზსადენის მშენებლობა მიმდინარეობს შეფერხებით, რაც გამოწვეულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, ვინაიდან გაზსადენის კონტური გასდევს საავტომობილო გზის კონტურს და გზის რეკონსტრუქციის პროფილის ჩამოყალიბებამდე ტექნიკურად შეუძლებელია მილსადენის მოწყობის სამუშაოების ჩატარება.
- „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 2,343.7 ათასი ლარი, რაც განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დაუსრულებლობით.
- „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 1,139.3 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის, მიმდებარე დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგების საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებებთან. ასევე შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში „ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდის“ მიმდებარედ არსებული ბილიკების სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო განმეორებით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა.
- „ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 1,873.4 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების – „ბათუმის ბულვარში სკეიტპარკის მოწყობა“, „ბულვარის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის სანათების შესყიდვა“, „ძველ ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის რეაბილიტაცია“ და სხვა პროექტების შეუსრულებლობით.

5. გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 2022 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას (99.2%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (76.5%).

ცხრილი 9. გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება (%)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5,809.5	5,734.7	74.9	98.7%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	778.6	772.2	6.4	99.2%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	4,233.2	3,968.6	264.7	93.7%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	115,872.2	88,664.8	27,207.4	76.5%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	82,413.2	74,031.5	8,381.8	89.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	34,057.4	33,714.2	343.1	99.0%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	20,905.0	18,352.2	2,552.8	87.8%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	218,236.6	171,843.4	46,393.1	78.7%
ჯამი:	**482,305.8**	**397,081.5**	**85,224.3**	**82.3%**

2022 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აუთვისებელმა თანხამ ჯამურად შეადგინა 85,224.3 ათასი ლარი, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წილი 27,207.4 ლარს შეადგენს, რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგით:

„სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 9,463.6 ათასი ლარი. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით[5] სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრული იყო არაუგვიანეს 2022 წლის 8 ოქტომბერი, თუმცა მიმწოდებელმა განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების დასრულება.

„გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 4,273.5 ათასი ლარი, კერძოდ: არ განხორციელებულა ხულოს მუნიციპალიტეტში ხულო-უჩხო-კურცხალის გზის რეაბილიტაცია (1,148.6 ათასი ლარი), დაუსრულებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტში უსტალიშვილები-წყავროკის გადასასვლელი გზის სამუშაოები (563.4 ათასი ლარი), ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჭოროხის გზის ნაპირსამაგრი ნაგებობის (336.2 ათასი ლარი) და შარაბიძეების ხიდის სამუშაოები (313.8 ათასი ლარი), შუახევის მუნიციპალიტეტში - კარაპეტის გზის სამუშაოები (287.5 ათასი ლარი) და სხვ. პროექტების დროული განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზი კონტრაქტორი კომპანიების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებაა.

[5] ხელშეკრულება N15, 13/02/2020 (NAT190025735).

საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებში აუთვისებელი დარჩა 46,393.1 ათასი ლარი, საიდანაც 38,005.7 ათასი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ აუთვისებელი ფინანსური დახმარებაა.[6]

6. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებები

2022 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 3,473.9 ათასი ლარი, რაც კანონით განსაზღვრული გეგმის 86.5%-ს შეადგენს.

ცხრილი 9. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება (%)
კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KFW) მიღებული სესხი	**2,224.9**	**1,789.1**	**435.8**	**80.4%**
ვალდებულების კლება	1,608.4	1,326.8	281.6	82.5%
პროცენტი	616.5	462.3	154.2	75.0%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი	**1,789.3**	**1,684.8**	**104.5**	**94.2%**
ვალდებულების კლება	1,741.0	1,651.7	89.3	94.9%
პროცენტი	48.3	33.1	15.2	68.5%
ჯამი:	**4,014.2**	**3,473.9**	**540.3**	**86.5%**

2022 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდამ 20,000.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მთავრობის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემულ უპროცენტო სესხს წარმოადგენს. მიღებული ინფორმაციით, სესხის აღების საფუძველია კანადური კომპანია WESTINKOR LIMITED-ს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიას“ შორის გაფორმებული მორიგების ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, 2022 წელს გადასახდელი თანხა შეადგენდა 6,810,023 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

7. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი/მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. კერძოდ, დანართში წარმოდგენილი პროგრამების ნაწილი[7] არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად, პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელ შუალედურ/საბოლოო შედეგების ნაწილს არ გააჩნია კონკრეტული მისაღწევი მიზანი, ასევე შეფასების ინდიკატორში განსაზღვრული მაჩვენებელი ბუნდოვანია და არ ასახავს კონკრეტულად რა მიზნის მიღწევას ემსახურება, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული

[6] იხ. „4.1 ხარჯები“.
[7] 14 პროგრამა არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად.

პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას, ასევე პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების 100%-ის შემთხვევაში არ ხდება ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.
გამოწვევას წარმაოდგენს რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების ათვისების დაბალი მაჩვენებელი. ჯამურად, დაზუსტებული გეგმის 50%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 9 პროგრამას/ქვეპროგრამას.

ცხრილი 10. რიგი პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულება (ათასი ლარი)

კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	გადახრა	გეგმის შესრულება (%)
04 01 03 02	სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	280.0	105.2	174.8	37.6%
04 01 03 03	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება	1,074.9	424.8	650.1	39.5%
04 01 04	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	18,656.0	9,192.4	9,463.6	49.3%
04 06	საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა	1,110.2	446.1	664.2	40.2%
04 09	ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის	500.0	0.0	500.0	0.0%
05 03 03	საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება	938.9	374.1	564.8	39.8%
05 07 03	ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში	309.7	26.9	282.7	8.7%
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	414.4	59.1	355.3	14.3%
07 14	სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	2,513.6	814.9	1,698.7	32.4%

ზემოაღნიშნული 9 პროგრამიდან/ქვეპროგრამიდან აუთვისებელი დარჩა 14,354.1 ათასი ლარი, კერძოდ:

- ქვეპროგრამის – „აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების და სარეკრეაციო ადგილების განვითარება“, 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,074.9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულებულია სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების სამუშაოები, შესრულებულია კურორტ ბეშუმის გენერალური გეგმის, განაშენიანების დეტალური გეგმისა და სანიტარული საზღვრის საჭირო სამუშაოები. 2022 წელს ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებდა „გომარდულის სარეკრეაციო ადგილის ინფრასტრუქტრის განვითარების“, „ჩირუხის მთის ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრატრუქტურის განვითარების“ და „ღომას მთის ინფრასტრუქტურის განვითარების“ ღონისძიებების განხორციელებას. 2022 წლის 5 ოქტომბერს შუახევის მუნიციპალიტეტში ჩირუხის მთაზე, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ზიპლაინის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო

სამუშაოების შესრულების მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი[8] არ შედგა. აღნიშნულის გამო, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, დანარჩენ ღონისძიებებზე ტენდერი აღარ გამოცხადებულა.

- პროგრამის – „ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის“ 2022 წლის გეგმა შეადგენდა 500.0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი არ გაწეულა. მყარი ნარჩენების მართვის სექტორის მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება დასრულდა 2022 წლის 15 აგვისტოს. საგრანტო პროექტში მონაწილეებს აფასებს კომისია, რომლის გადაწყვეტილებით, პროგრამის განხორციელება გადაიდო 2023 წლისთვის, რადგან 2022 წლის ბოლომდე ვერ მოხერხდა სატენდერო პროცედურების ჩატარება და ძირითადი საშუალებების (საწარმოო ხაზები) დროულად მიწოდება.
- „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის 2022 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,513.6 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 814.9 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი განაცხადების შერჩევის შედეგად შეირჩა და ხელშეკრულება გაფორმდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით სხვადასხვა დარგის 13 ბენეფიციართან. 2022 წელს დაფინანსებულია 6 პროექტი, ხოლო 7 პროექტის შემთხვევაში, დასრულების ეტაპი გადავიდა 2023 წელს. შესაბამისად, ანგარიშსწორებაც განხორცილდება 2023 წლის ბიუჯეტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ბენეფიციარების განაცხადების ბაზიდან 11 პროექტის შერჩევა ვერ განხორციელდა, რადგან წარმოდგენილი პროექტები არ შეესაბამებოდა პროგრამის კრიტერიუმებს.

პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა კომპლექსური პროცესია, რომელშიც ჩართულია მრავალი მხარე. შესაბამისად, მიზანშეწონილია შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით. რეფორმის გაცხადებული მიზნობრივი ნიშნულების არსებობა გაზრდის ამ პროცესში ჩართული საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხს და ხელს შეუწყობს რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგს.

[8] NAT220020401.

დანართი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დაფინანსებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების რიგი პროექტები, სადაც ათვისების მაჩვენებელი 12%-ს არ აღემატება (ათასი ლარი; პროცენტი)

N	პროექტის დასახელება	გამოყოფილი თანხა	საკასო შესრულება	გადახრა	ბიუჯეტის შესრულება (%)	შენიშვნა
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა	1,426.7	164.1	1,262.6	12%	მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები.
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა	1,422.7	150.2	1,272.4	11%	მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები.
3	ადმინისტრაციული შენობის, ა(ა)იპ - ქობულეთის სოფლის წყლის, ა(ა)იპ - ქობულეთის გამწვანების და შპს „ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის“ მშენებლობა	100		100	0%	სატენდერო პროცედურების გამო ხელშეკრულება ვერ გაფორმდა 2022 წელს.
4	ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია	100		100	0%	პროექტი საჭიროებდა კორექტირებას, შესაბამისად, შესყიდვის პროცედურები 2022 წელს ვერ განხორციელდა.
5	ბათუმში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა	2,181.2		2,181.2	0%	პროექტი საჭიროებდა კორექტირებას, შესაბამისად, შესყიდვის პროცედურები 2022 წელს ვერ განხორციელდა.
6	ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროექტირება/მშენებლობა)	829.2		829.2	0%	მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები ვერ აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, რის გამოც ხელშეკრულება შეწყდა.
7	ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის საჭიდაო მოედნის მოწყობა	214		214	0%	ორჯერ გამოცხადებული ტენდერი არ შედგა.
8	ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია	325		325	0%	ორჯერ გამოცხადებული ტენდერი არ შედგა.
9	დაბა ქედაში სამრეწველო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა	368.9		368.9	0%	აღნიშნულ ტერიტორიაზე სხვა უწყების მიერ მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.
10	ხულოს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში სასმელი წყლის შემკრები და გამანაწილებელი რეზერვუარების მოწყობა	55	3.8	51.2	7%	მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები ვერ დაასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

11	სოფელ კვატიაში სოფლის სახლის მშენებლობა	90	0	90	0%	ვერ განხორციელდა შესყიდვა.
12	შუახევის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა	100	0	100	0%	მომწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები ვერ დაასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
ჯამი:		**7,212.7**	**318.1**	**6,894.6**	**4.4%**	